ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3017608

ნომერი: AR1465873

თარიღი : 22.12.2016

გაცემის თარიღი : 26.12.2016

გაცნობის თარიღი : 28.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი შარაშიძე პ/ნ 01009004220
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. კორ. 6 ბ. 19

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე
მოქ. ირაკლი შარაშიძემ 22.12.2016 წ. №AR1465873 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით №01.15.02.006.012 (2153 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე მრავალფუნქციური

კომპლექსი/შენობის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 20.10.2016 წ. №2900888 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის ნომერი №882016651614) საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა მიწის ნაკვეთის წითელი ხაზების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში და შეიცვალა მხოლოდ მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას სამსახურის 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: ძველი საკადასტრო გეგმა შეიცვალოს ახალი საკადასტრო გეგმით საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი №882016651614);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.12.2015 წ. №2341943 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 20.10.2016 წ. №2900888 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.